ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2015 წლის 27 იანვარი

დ. ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №32 დადგენილებაში ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა-რანგირების, საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №32 დადგენილების ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა-რანგირების, საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (სსმ, ვებგვერდი, 11/09/2014.,010250050.35.140.016119) დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დანართის რიგით მე-6 ნომრი:

№	თანამდებობის დასახელება	შტატი	სარგო
6	**სახელმწიფო შესყიდვების სამსახური**	**4**	
	წამყვანი საჯარო თანამდებობა – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი	1	1000
	უფროსი საჯარო თანამდებობა – გამარტივებული შესყიდვების განყოფილების უფროსი	1	810
	უფროსი საჯარო თანამდებობა – გამარტივებული ელექტრონული ტენდერების და ელექტრონული ტენდერების განყოფილების უფროსი	1	810
	უფროსი საჯარო თანამდებობა – მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში	2	560

2. დანართი ცხრილის ბოლო რიგში ციფრი ,,60“ შეიცვალოს ციფრით ,,61“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — მამუკა მელიქიძე